




საპილოტე პროექტები



WWW.H2020-DEMETER.EU



@H2020DEMETER



H2020DEMETER



in h2020-demeter



h2020-demeter

DEMETER-ის შესახებ

DEMETER წარმოადგენს Horizon 2020-ის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის აგრო-სასურსათო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელებას "ნივთების ინტერნეტის" (IoT) თანამედროვე ტექნოლოგიების, მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების და „ჭკვიანი მეურნეობის“ სწრაფი დანერგვის გზით, რაც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობასა და მდგრადობას. პროექტი ითვალისწინებს უსაფრთხო და მდგრადი ევროპული "ნივთების ინტერნეტის" ტექნოლოგიისა და ბიზნესის ეკოსისტემის შექმნას. DEMETER მოახდენს თანამედროვე, სტანდარტებზე დაფუძნებული, "ნივთების ინტერნეტის" ტექნოლოგიებს შორის ფუნქციონალური ურთიერთქმედების რეალური პოტენციალის დემონსტრირებას, არსებული სტანდარტების ადაპტაციისა და სოფლის მეურნეობის ყოვლისმომცველ საინფორმაციო მოდელად გარდაქმნის გზით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე:

WWW.H2020-DEMETER.EU



ძირითადი ფაქტები

დაფინანსების სქემა:

Horizon 2020 Industrial Leadership,
ICT-08-2019.

საერთო ბიუჯეტი:

17,5 მილიონი ევრო
ევროკავშირის კონტრიბუცია: 15
მილიონი ევრო

ხანგრძლივობა:

3½ წელი (2019 წ. სექტემბერი - 2023 წ.
თებერვალი)

კონსორციუმი:

60 პარტნიორი

5 საპილოტე კლასტერი:

მარცვლეული კულტურები,
პროგნოზირებადი მინათმოქმედება,
ხილი და ბოსტნეული, მეცხოველეობა
და მიწოდების ჯაჭვი.

გამოყენების მაგალითები:

20 მაგალითი ევროკავშირის 18
ქვეყანაში



DEMETER-ის მიზნები

DEMETER-ის ზოგადი მიზანია ხელი შეუწყოს ფერმერებსა და ფერმერთა კოოპერატივებს გამოიყენონ არსებული პლატფორმები და ტექნიკა ახალი ცოდნის მისაღებად და გადანაცვტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად. ასევე, ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ფერმერებს შეიძინონ, განავითარონ და განაახლონ პლატფორმები, მანქანა-დანადგარები და სენსორები, მათი ინვესტიციების საჭირო მიმართულებით მიმართვის გზით.

განისაზღვრა ექვსი ძირითადი მიზანი:

მომხმარებელზე ორიენტირებული გადანაცვტილებები:

შეცვალოს ურთიერთობა მომწოდებლებთან ინოვაციური მოდელის საშუალებით, რომელშიც მომწოდებლები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ საბოლოო გადანაცვტილება იყოს ოპტიმალური ფერმერის არსებული კონტექსტისა და გამოხატული საჭიროებებისთვის.

ბენეფიციარი:

შეიქმნას შედარებითი ანალიზის მექანიზმი სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გადანაცვტილებებისა და ბიზნესისთვის, რომელიც ორიენტირებულია ფერმერული მეურნეობების, სერვისების, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის მწარმოებლურობისა და მდგრადობის საბოლოო მიზნებზე.

ფერმერებისა და ფერმერული კოოპერატივების გადლიერება

ინფორმაციის მოდელირება:

აგრო-სასურსათო სექტორში არსებული ინფორმაციის ანალიზი, საინფორმაციო მოდელის მიღება-გადლიერება და საჭიროების შემთხვევაში ახლის დანერგვა. ეს გაამარტივებს მონაცემთა გაცვლასა და ურთიერთქმედებას მრავალრიცხოვან "ნივთების ინტერნეტის" ტექნოლოგიებს, ფერმერული მეურნეობის მართვის საინფორმაციო სისტემებსა (FMIS) და მასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს შორის.

ცოდნის გაცვლის მექანიზმი:

ცოდნის გაცვლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აგრო-სასურსათო დარგისთვის ურთიერთქმედების სივრცეს ღია სტანდარტების ძირითადი ნაკრების გამოყენებით.

მონაცემთა ფლობა:

ფერმერის, როგორც მწარმოებელ-მომხმარებლის (prosumer) გადლიერება, იმ მიზნით, რომ მან ახალი მოდელების იდენტიფიცირებისა და დემონსტრირების გზით შეძლოს კონტროლის მოპოვება კვებითი ჯაჭვის მონაცემებზე, "ნივთების ინტერნეტზე" და მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებულ ბიზნეს მოდელებზე, ფერმერთათვის მოგების მიღებისა და ღირებულებათა ჯაჭვში თანამშრომლობისა და ერთობლივი წარმოების წახალისების მიზნით.

რეალური ზემოქმედება:

ციფრული ინოვაციების გავლენის დემონსტრირება სხვადასხვა სექტორში ევროპულ დონეზე.



მიდგომა მრავალი დანტერესებული მხარის მონაწილეობით

DEMETER იყენებს მიდგომას მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (MAA), რომელიც მიზნად ისახავს გახადოს ინოვაციები სრულად მოთხოვნაზე დაფუძნებული, სხვადასხვა მხარის მონაწილეობით, როგორცაა ფერმერები / ფერმერთა ორგანიზაციები, კონსულტანტები, ბიზნესი და ა.შ.

DEMETER ახორციელებს ამ მიდგომას მთელი ჯაჭვის მასშტაბით, ფერმერებიდან დაწყებული, სერვის კონსულტანტებითა და მომწოდებლებით დამთავრებული. ამ მიდგომაში, მომწოდებლები სრულად მოიცავენ სასარგებლო ციფრული და ციფრულად დაკავშირებული კომპონენტების, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის, მონაცემთა წყაროების, მანქანა-დანადგარების, ცოდნის, პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატურის მომწოდებლების სრულ სპექტრს.



ურთიერთქმედების მხარდაჭერა

ვინაიდან მონაცემთა ურთიერთქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, DEMETER იყენებს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტექნოლოგიებს, პლატფორმებს, სერვისებსა და პროგრამებს და ხელს უწყობს მონაცემთა გაცვლის მოქნილობას მთელ აგრო-სასურსათო ქსელში. DEMETER-მა შეიმუშავა ეტალონური არქიტექტურა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ ურთიერთქმედებას, რაც საშუალებას იძლევა უსაფრთხოდ განხორციელდეს სხვადასხვა პლატფორმების და მონაცემთა ნაკრებების ინტეგრირება. ეტალონური არქიტექტურა ასევე მხარს უჭერს ღია ინოვაციებს, სადაც სხვადასხვა სტანდარტების შერწყმაა შესაძლებელი ურთიერთთავსებადი გადამცემილებებისთვის. ეს, თავის მხრივ, არამარტო გაზრდის ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის „სმარტ“ ტექნოლოგიების მიწოდებას, არამედ გაზრდი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს.



DEMETER კონსორციუმი

DEMETER კონსორციუმი შედგება 60 პარტნიორისგან, რომლებიც აერთიანებენ ფერმერებსა და ფერმერთა ორგანიზაციებს, აკადემიურ ინსტიტუტებს და მცირე და მსხვილ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს. TSSG-ის (Telecommunications Software and Systems Group) ხელმძღვანელობით, პარტნიორები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გლობალური მასშტაბით გავრცელებას, რათა მოიცვან დაინტერესებული მხარეების საჭიროებების და მოთხოვნების წარმომადგენლობითი შერჩევითი ერთობლიობა, რითაც უპასუხებენ ბაზრის პოტენციალსა და ინოვაციების შესაძლებლობის ასპექტებს.



TSSG



AGRICOLUS

DNET Labs



InData



Atos



პროექტის სტრუქტურა

DEMETER შედგება შვიდი სამუშაო პაკეტისგან, რაც საშუალებას მისცემს პროექტს მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

- 1 პროექტის კოორდინაცია
- 2 მონაცემები და ცოდნა
- 3 ტექნოლოგიების ინტეგრაცია
- 4 შესრულების ინდიკატორის მონიტორინგი, ბენჩმარკინგი და გადანაცვების მხარდაჭერა
- 5 პილოტის მართვა
- 6 ბიზნესის მოდელირება, ინოვაციების მართვა, ექსპლუატაცია და სტანდარტიზაცია
- 7 ეკოსისტემის განვითარება, არაერთი დაინტერესებული მხარის ჩართვით



DEMETER-ის საპილოტე პროექტები


5 კლასტერი, 20 გამოყენების მაგალითი

DEMETER-ის საპილოტე პროექტები გამოიყენება იმის დემონსტრირებისა და შესაფასებლად, თუ როგორ უწყობს ხელს ურთიერთქმედების მექანიზმები ინოვაციებსა და გაფართოებულ შესაძლებლობებს. საპილოტე პროექტები, რომლებიც ხორციელდება ევროპის 18 ქვეყანაში, ასევე გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა მზაობის ევოლუციის მონიტორინგის მიზნით.

საპილოტე პროექტები 5 კლასტერადაა დაჯგუფებული: მარცვლეული კულტურები, პროგნოზირებადი მინათმოქმედება მარცვლეული კულტურების განვითარებისთვის, ხილი და ბოსტნეული, მეცხოველეობა (მეფრინველეობა, რძის პროდუქტები, ცხოველთა დაცვა) და მიწოდების ჯაჭვი.



WWW.H2020-DEMETER.EU/PILOTS





LOCATION



Serbia, Montenegro,
Georgia and Slovenia

PARTNERS



5.1 ბაღების / ვენახების დაავადებათა პროგნოზირება და მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობა

პრობლემა

მავენებლებისა და დაავადებების გამოჩენა, ისევე როგორც მათი გავრცელება, ხილისა და ყურძნის წარმოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. დაავადების კონტროლი, როგორც წესი, უტყუარი ფაქტების ნაცვლად, გამოცდილებას ემყარება, თუმცა ხელმისაწვდომია მათი პროგნოზირების მოდელები. ამასთან, ეს მოდელები, თითოეული მომხმარებლისთვის ბუსტი და კონკრეტული რჩევის ნაცვლად ხშირად მხოლოდ ზოგადი ინსტრუქციებით შემოიფარგლებიან. გარდა ამისა, არსებობს ადვილად მისაწვდომი მიკვლევადობის მონაცემების დეფიციტი მომხმარებლებისთვის, რომელთაც სურთ იცოდნენ, თუ რომელი პესტიციდებით თუ სხვა ნივთიერებებით არის დამუშავებული მათი საკვები პროდუქტები.

მიზანი

ეს საპილოტე პროექტი ფოკუსირებულია მეურნეობების სრულ მენეჯმენტზე ვენახებსა და ბაღებში, უზრუნველყოფს მავენებლებისა და დაავადებების მართვის ინსტრუმენტებს პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციისა და მოსავლის ხარისხის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, გამჭვირვალე მიწოდების ჯაჭვის შექმნის მიზნით პესტიციდების გამოყენების მონაცემები გროვდება და ინახება.



როგორ

DNET agroNET პლატფორმა გამოიყენება ფერმერებისთვის მავენებლებისა და დაავადებების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მონაცემთა შეგროვებისთვის მიწოდების მთელ ჯაჭვში და თითოეული დაინტერესებული მხარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. agroNET ახდენს ინფორმაციის შეგროვებას პესტიციდების გამოყენების შესახებ Pulverizadores Fede-ს "ქლაუდ" სერვისთან დაკავშირებული „ჭკვიანი“ სასხურებელი სისტემებისგან, რაც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს მონაცემების შეყვანა პროდუქტის პასპორტში.

"ნივთების ინტერნეტის" (IoT) მოწყობილობები მონიტორინგს და Pulverizadores Fede-ს სასხური სისტემებიდან მიღებული ინფორმაცია ინტეგრირდება, რათა მოხდეს გარემოს, შესხურების ციკლებისა და მონაცემების შესახებ ინფორმაციის უშუალოდ მინდვრებიდან და მანქანა-დანადგარებიდან მიღება. მთელი საპილოტე პროექტის განმავლობაში ხდება მონაცემების შეგროვება-დამუშავება და გენერირდება ანალიტიკური მონაცემები, რომლებიც რეალურ დროში უზრუნველყოფს ინსტრუქციებს ფერმერებისთვის. „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მონაცემთა გაცვლის პროტოკოლი (OriginTrail) გამოიყენება ჩართულ მხარეთა შორის ნდობისა და გამჭვირვალობის და ღირებულების ჯაჭვში გაცვლილი მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. სერვისი უზრუნველყოფს სხვადასხვა რეგიონის ბაღებსა და ვენახებში მავენებლებისა და დაავადებების კონტროლს ციფრული პროგნოზირების მოდელისა და "ქლაუდ" სისტემასთან დაკავშირებული სასხური სისტემების გამოყენებით.

სარგებელი

საპილოტე პროექტი მიგვიყვანს პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციამდე, რაც გამოიწვევს ხარჯების შემცირებას და სხვადასხვა ხილისა და ყურძნის ხარისხის ზრდას. იგი ასევე უზრუნველყოფს საიმედო მიწოდების ჯაჭვს, რომელიც დაფუძნებული იქნება ყველა დაინტერესებული მხარისგან შეგროვებულ ინფორმაციაზე.



✉ **INFO@H2020-DEMETER.EU**

🌐 **WWW.H2020-DEMETER.EU**

🐦 **@H2020DEMETER**

in **h2020-demeter**

f **H2020DEMETER**

▶ **h2020-demeter**



This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement no 857202.